F826 / 7294

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

მრავალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

6 IX 1991 ფასი 50 კაპ. № 33 (38)



## თავისკვეთა იოვანე ნათლისმცემლისა

წმიდა იოვანე წინასწარმეტყველი, წინამორბედი და ნათლისმცემელი უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, მართლმორწმუნეთა უდიდესი მეოხი და შემწეა. თავად უფლის სიტყვით — „არა აღდგომილ არს ნაშობთაგანი დედათაჲ უფროჲს იოვანეს ნათლისმცემლისა“ (მათე 11, 11).

წინასწარმეტყველთა შორის უდიდებულესის პატივად და მოსახსენებლად ეკლესიაში რამდენიმე დღესასწაულია დაწესებული, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია თავისკვეთა წინამორბედისა — 29 აგვისტოს (ახ. სტილით — 11 სექტემბერს).

როგორც წმ. სახარება მოგვითხრობს, იოვანეს ჰეროდე მეფის ბრძანებით მოჰკვეთეს თავი, რადგან იგი ამხილებდა მას უწესო ცხოვრებისათვის (მათე 14, 3-11; მარკ. 6. 16-29; ლუკა 3, 19-20).

ნათლისმცემლის მაგალითი გვასწავლის, რომ ღმრთისმსახური ადამიანი ვერასოდეს შეურიგდება უწესობას. იოვანეს თავისკვეთა მოყვასისათვის თავის განწირვის ერთ-ერთ გამოვლინებადაც შეიძლება იქნეს მიჩნეული; მიუხედავად იმისა, რომ იოვანემ იცოდა ჰეროდე მეფის სისასტიკე და დედოფალ ჰეროდიას მზაკვრობა, არ შეუშინდა მათ მრისხანებას და საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით ზნეობრივი ცხოვრებისაკენ მოუწოდა მათ.

წინამორბედის თავისკვეთა იქმნა საღმრთო განგებულებით, რათა იოვანე ნათლისმცემელს ჯოჯოხეთს მყოფთათვის ექადაგნა მოსვლა მაცხოვრისა და ეხარებინა საუკუნო სუფევა.

ტროპარი დღესასწაულისა: ხსენება მართლისა ქებით აღესრულების, ხოლო შენდა კმა არს წამება უფლისა, წინამორბედო, რამეთუ ჭეშმარიტად გამოჩნდი უდიდებულეს წინასწარმეტყველთა, და რამეთუ ქადაგებულსა მას შენ მიერ, წყალთა შინა ღირს იქმენ ნათლისცემად, და იწამე ჭეშმარიტებისათვის, და სიხარულით ახარე მყოფთა ჯოჯოხეთისათა ღმერთი, ხორცითა გამოჩინებული და აღმხმელი ცოდვათა სოფლისათა, რომელი მოგვანიჭებს ჩვენ დიდსა წყალობასა.

## წმიდა შუშანიკ დედოფლის ხსენების დღე

28 აგვისტოს (ახ. სტილით — 10 სექტემბერს) საქართველოს წმიდა ეკლესია ზეიმით აღნიშნავს წმ. დიდებული მოწამისა და ღვაწლისა-მძლის — შუშანიკ დედოფლის ხსენებას.

სარწმუნოების სიმტკიცე, შეურყეველობა სასოებისა და მხურვალება საღმრთო სიყვარულისა — ამ სამი დიდებული სათნოებით გაბრწყინდა წმიდა მოწამე ზეცათა სასუფეველში. იგი მეოხებას არ მოაკლებს მისი წმიდა ხსენების მედღესასწაულე მართლმორწმუნე ერს.

ტროპარი წმიდა მოწამისა: წამებისა გვირგვინითა შეიმკვე მეუღლისა შენისაგან, დედოფალო წმიდაო შუშანიკ, და წარმავლისა დედოფლობისა წილ მოიგე სუფევაჲ წარუვალი, და აწ კადნიერად მდგომარე ხარ წინაშე სიძისა შენისა, უკვდავისა ქრისტესა; მეოხ გვეყავ მაქებელთა შენთა, სანატრელო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო განსაკუთრებული ბედისაა



**— თუ შეიძლება, გაგვაცანით თქვენი თავი!**

— მე ვარ მაია ნავერიანი, პროფესიით გახლავართ მხატვარი. უკვე თითქმის ერთი წელიწადია, რაც ვცხოვრობ ლონდონში.

ჩემი მეუღლე ჯონათან ეივსი სპეციალობით სოვეტოლოგია. იგი ლონდონის უნივერსიტეტში მუშაობს. 1988 წლის ნოემბერში იგი საქართველოში იმყოფებოდა და ესწრებოდა იმ მნიშვნელოვან პოლიტიკურ აქციებს, რომლებიც პირველად ბოლო ათწლეულების მანძილზე გაიმართა საქართველოში. მას მერე იგი დაინტერესდა საქართველოთი და ბოლო ორი წლის განმავლობაში საკმაოდ დიდ ყურადღებას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს.

**— ზოგადი ხასიათის კითხვა მინდა მოგცეთ — როგორია თქვენი, როგორც ქართველის, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს, დამოკიდებულება დღევანდელ საქართველოსთან?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის, ალბათ, როგორც უმეტესი ქართველისათვის, საქართველოს გარეთ ყოფნა თითქმის აუტანელია. მით უმეტეს, როდესაც წყდება საქართველოს მომავალი. ახლა, ჩემი აზრით, ყოველი დღე ახლის მომტანია. მიმდინარეობს გადამწყვეტი ბრძოლა.

**— პირად საუბარში ჩემთან თქვენ აღნიშნეთ, რომ ლონდონში თქვენს დანიშნულებას ხედავთ იმაში, რომ შეძლებისდაგვარად გააცნოთ ევროპელებს საქართველო და საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარება. თუ შეიძლება რამდენიმე სიტყვით გაგვაცანით თქვენი საქმიანობა ინგლისში ამ კუთხით?**

— როგორც ზემოთ ვახსენე, ჩემი მეუღლე სოვეტოლოგია, ამის გამო მე ხშირად მიწევს კონტაქტი საბჭოთა კავშირით დაინტერესებულ პიროვნებებთან. ხშირად ვესწრები სემინარებს, კონფერენციებს დაკავშირებულს საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებთან.

სამწუხაროდ, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოთი დაინტერესება დასავლეთში ძალზე მცირეა, რაც გასაკვირი არ არის, რადგან მიზეზი საკმაოდ ბევრია. თითქმის არავინ იცის საქართველოს არსებობის შესახებ, ხოლო პოლიტოლოგების, სოვეტოლოგების და იმ პიროვნებების ცნობიერებაში, რომლებიც ასე თუ ისე იცნობენ საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებს, არსებობს საქართველოს ძალზე მცდარი სტერეოტიპი. ზოგიერთი მათგანისათვის (ისინი უმცირესობას წარმოადგენენ) საქართველო არის ეგზოტიკური კუთხე კავკასიის მთებში: „კარგი ღვინო, შესანიშნავი სამზარეულო და მშვენიერი ჰავა. სხვებისათვის კი — ეგზოტიკური, გადაჭარბებულად ემოციური, შოვინისტური, იარაღისა და ღრეობის მოტრფიალე ხალხი. ამგვარი დახასიათებიდან ჩანს, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არ აღიქვამენ. ამის ძირითადი მიზეზი, როგორც მოგეხსენებათ, ისაა, რომ 70 წლის განმავლობაში მსოფლიომ იცოდა მხოლოდ საბჭოთა კავშირი, რომლის მთლიანი შემადგენლობის ასოციაცია იყო რუსეთი, და თუკი საქართველოს შესახებ ვინმემ რაიმე იცოდა, ეს იყო მხოლოდ კუთხე საბჭოთა კავშირში, სადაც დაიბადა სტალინი, ე. შევარდნაძე. გაზეთებშიც არის, რომ იმპერიალისტური ძალები ცდილობენ ჩვენზე უარყოფითი სტერეოტიპის დამკვიდრებას, როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებათ, და რაც ყველაზე უფრო სახიფათოა, ცდილობენ ქვეყნის შიგნით წყლის ამღვრევას. ამას ყველაფერს ვერ ანეიტრალებს ქართული ემიგრაცია თავისი სიმცირის გამო, აგრეთვე დიდ ზიანს აყენებს საქართველოს ავტორიტეტს ზოგიერთი ჩვენი თანამემამულის გადაჭარბებული „თვითკრიტიკა". ამას მოგახსენებთ, როგორც საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი, რომელიც ძალიან ხშირად, სამწუხაროდ, აწყდება ყოველივე ამას.

დიდ ბრიტანეთში სულ რამდენიმე ქართველი ცხოვრობს. ჩემს უპირველეს ამოცანას ვხედავ იმაში, რომ შევცვალო საქართველოზე არსებული წარმოდგენა. შეძლებისდაგვარად გავაცნო მათ საქართველოს წარსული და აწმყო. ბევრი კამათი მიწევს საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაზე.

**— შეიცვალა თუ არა საქართველოს მიმართ დამოკიდებულება ამ ბოლო დროს?**

— სამწუხაროდ, ახალი ბევრი არაფერია. მართალია, ჩვენს ქვეყანას მეტი ყურადღება ეთმობა დღეს, მაგრამ სტატიებისა და გადაცემების უმრავლესობა არასახარბიელო შთაბეჭდილებას ტოვებს. ყოველ მომხდარ ფაქტს (მნიშვნელოვანსა თუ უმნიშვნელოს) ეძლევა უარყოფითი შეფასება. განსაკუთრებით „პოპულარული" გახდა ბატონი ზვიად გამსახურდიას პიროვნების და მის მიერ გატარებული პოლიტიკის შედარება ტირანიასთან, ტოტალიტარიზმთან, ფაშიზმთან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ „ეპითეტების" გამოყენება არ ხდება დამადასტურებელ, კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით.

ამ ყველაფერს თან ერთვის ბატონი ზვიად გამსახურდიას ზოგიერთი გამონათქვამის არასწორი შეფასება, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს ფაქტობრივი მდგომარეობის უცოდინრობიდან და იმ უთვალავი პრობლემის გაუთვალისწინებლობიდან, რის წინაშეც აღმოჩნდა დღევანდელი საქართველოს მთავრობა. ვფიქრობ, ძნელია უცხოელების კრიტიკა ყველაფერი ზემოთქმულის გამო იმ დროს, როდესაც ბევრს თვით საქართველოშიც კი არა აქვს გააზრებული და შეფასებული დღევანდელი მდგომარეობა. თუმცა ეს ყველაფერი ახლა უკვე გუშინდელი დღეა. დღეს უკვე საბოლოოდ გამოიკვეთა საქართველოს ხვალინდელი დღე. საბჭოთა კავშირი იშლება. მოსწონს თუ არა დასავლეთს ჩვენი დღევანდელი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა, ჩვენ თავისუფალი ვიქნებით.

ჩემი აზრით, საქართველო განსაკუთრებული ბედისაა. ძნელი გზის გავლა არგუნა ღმერთმა. მჯერა, რომ ადრე თუ გვიან საქართველო დაიკავებს თავის კუთვნილ ადგილს მსოფლიო ქვეყნებს შორის.

**— იქნებ გაიხსენოთ რაიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა?**

— როგორც მოგეხსენებათ, 17-18 ივლისს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი ლონდონში იმყოფებოდა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებთან შესახვედრად. ამასთან დაკავშირებით ბალტიისპირელი ემიგრანტების ინიციატივით ორივე დღეს დედოფალ ელიზაბეთ მეორის სახელობის საკონფერენციო ცენტრისა და საბჭოთა საელჩოს წინ გაიმართა მანიფესტაცია.

ამის შესახებ ჩემი ლიტველი მეგობრებისაგან შევიტყვე. გამოვთქვი სურვილი მათთან ერთად მონაწილეობა მიმეღო ამ აქციაში, რათა საქართველოც ყოფილიყო ამ ანტიიმპერიალისტური აქციის თანამონაწილე. დიდი გულმოდგინებით დავხატე ტრანსპარანტი, რომელზედაც ორ ენაზე, ქართულად და ინგლისურად დავაწერე — თავისუფალი საქართველო, თან მქონდა საქართველოს დროშაც.

ბრიტანეთის ხელისუფლებამ ამ მანიფესტაციის მონაწილეებს საკმაოდ ბევრი პირობა წაუყენა. გამოყოფილი იყო კონკრეტული მონაკვეთი ქუჩაზე, რომელიც საკმაოდ მოშორებული იყო იმ ადგილს, სადაც შეხვედრა მიმდინარეობდა. გამოყოფილი იყო გარკვეული დროც. მთელი მანიფესტაციის განმავლობაში გარშემორტყმულნი ვიყავით პოლიციით. ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენლების გარდა იქ იმყოფებოდნენ უკრაინისა და ბელორუსიის წარმომადგენლები.

ალბათ, ჩვენი რაოდენობა 50-ს არ აღემატებოდა. გული დამწყდა, რომ საქართველოს წარმომადგენელი მხოლოდ მე ვიყავი. დანარჩენი ემიგრანტების მხრიდან ყურადღება არ მომკლებია. ისინი ცდილობდნენ ჩემთვის ეგრძნობინებინათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ისევე ახლოს არის, როგორც ბალტიისპირეთისა, არც ჟურნალისტების მხრიდან დავრჩენილვარ უყურადღებოდ. ხშირად მიწევდა სხვადასხვა კორესპონდენტებისთვის ინტერვიუს მიცემა. ისინი დიდი ენთუზიაზმით იღებდნენ ჩემს პლაკატს, რომლის ქართული წარწერა მათ ყურადღებას იპყრობდა. ჩემს ბალტიისპირელ მეგობრებს, მათ შორის მეც, იმედი გაგვიცრუვდა, როდესაც არც ერთ საინფორმაციო გამოშვებაში რეპორტაჟი ჩვენი დემონსტრაციის შესახებ არ გადაცემულა, მაშინ, როდესაც ახალ ამბებში საკმაოდ უმნიშვნელო და პრიმიტიულ სიუჟეტსაც კი უთმობენ ყურადღებას. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ დასავლეთის დემოკრატიულობა და პრესისა და ტელევიზიის თავისუფლებაც კი საკმაოდ პირობითი ცნებაა.

ესაუბრა **ნანა დოლიძე**

# რატომ გადადგა პრემიერ-მინისტრი

**მოდით,** შევეცადოთ შორიდან, მომავლიდან გადმოვხედოთ დღევანდელ მოვლენებს, ვნახოთ, რა ხდება: 70-წლიანი მონობის შემდეგ საქართველო ბოლოს და ბოლოს უახლოვდება თავის ოცნებას. გასაოცარი ერთსულოვნებით, სიდინჯით, სიბრძნით ემიჯნება უმძიმეს წარსულს და სამგზის ადასტურებს თავის სწრაფვას თავისუფლებისკენ. ყველგან — მიტინგებზე, დემონსტრაციებზე, არჩევნებში, რეფერენდუმზე — მიზანდასახულად ავლენს ურყევ ნებას, თვითონ იყოს თავისი თავის პატრონი.

მთელი ამ ხნის მანძილზე ისე ჩანს, თითქოს არ არსებობს გამარჯვების არავითარი შანსი. რუსეთს (საქართველოს მაშინდელ დამპყრობელს) ჰყავს მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია, ყველაზე საშინელი იარაღი და ყველაზე დაუნდობელი გენერლები. მსოფლიო ისტერიულად უჭერს მხარს გორბაჩოვს (რუსეთის მაშინდელ მმართველს), ატომური განუკითხაობის ეშინია. შიგ საქართველოში თარეშობს კომუნისტური ხელისუფლება, რომელიც ემსახურება ამ ტერიტორიაზე რუსეთის ინტერესების განხორციელებას. დაძაბული ურთიერთობაა ავტონომიებთან, როგორც კი საქართველო აცხადებს ნებას, გახდეს თავისუფალი, ავტონომიებში მძაფრდება სეპარატისტული მოძრაობა. ეკონომიკა განადგურებულია, მეურნეობა — მოშლილი.

მაგრამ მიუხედავად ყველა სიძნელისა საქართველო არ კარგავს მხნეობას. აგრძელებს ბრძოლას თავისუფლებისთვის. რეზულტატებსაც აღწევს. ამხობს შიდა კომუნისტურ დიქტატს, ირჩევს ახალ პარლამენტს, პრეზიდენტს, აყალიბებს აღმასრულებელ სტრუქტურებს.

ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდია საქართველოს ისტორიაში. იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად გადადგამს ის პირველ ნაბიჯებს, მთელი მისი მომავალია დამოკიდებული გადის 10 თვე და საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი გადადგება თავისი პოსტიდან. გადადგომა სკანდალურ ხასიათს ატარებს. ყოფილი პრემიერ-მინისტრი საქართველოს ხელისუფლებასა და პრეზიდენტს (ალბათ, უფრო პრეზიდენტს) ადანაშაულებს უმართებულო, არასწორი პოლიტიკის წარმოებაში.

რამხელა მნიშვნელობის მოვლენა ხდება! საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი, კაცი, რომელსაც ქართველმა ერმა თავისი ბედი მიანდო, გადადგა დაკავებული პოსტიდან. ცხადია, იგულისხმება, რომ პრემიერ-მინისტრს აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა თავისი ერისა და ისტორიის წინაშე, იგი ვალდებულია განმარტოს თავისი პოზიცია. მართლაც, პრესაში ჩნდება განმარტება — ბატონი თენგიზ სიგუა საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრი 10 თვის მმართველობის შემდეგ, საქართველოს ისტორიის ურთულეს ჟამს გადადგა იმიტომ, რომ მოხსნეს ჯანმრთელეობის მინისტრი მენაღარიშვილი, მიიღეს არასწორი ბრძანებულება მებაღეობის კოოპერატივების წინააღმდეგ, არ დაურიგეს გლეხებს მიწა, არ გაატარეს ეკონომიკური რეფორმები, ამერიკაში გააგზავნეს პოლიტიკურად გაუმართლებელი მიმართვა.

წარმოიდგინეთ, რომ 100, თუნდაც 50 წლის შემდეგ იმ მოვლენათა თვალსაწიერიდან, რომელიც წერილის დასაწყისში იყო მოყვანილი, ვკითხულობთ ამ დოკუმენტს. ამხელა ძვრები ხდება ქვეყანაში, ინგრევა ძველი, ეყრება საფუძველი ახალს და გასაკვირი არ არის, რომ პოლიტიკოსი, რომლის გადადგომის ერთ-ერთი მიზეზი მთავრობის (კადრების) არაპროფესიონალიზმი იყო, ერთ სიბრტყეზე აყენებს ისეთ მოვლენებს, როგორიც არის კონკრეტული მინისტრის მოხსნა და ეკონომიკური რეფორმა.

სიშორე და ისტორიული თვალთახედვა ტყუილად არ მოგვიხმია. არსებობს სრულიად კონკრეტული კანონზომიერება იმაში, თუ რატომ ჩანს დღეს დამაჯერებლად ის, რაც აბსურდულად, გაუგებრად, წარმოუდგენელ უაზრობად გამოჩნდება 50, 100 წლის შემდეგ. საქმე ის გახლავთ, რომ ბატონი პრემიერ-მინისტრის განმარტება სწორედ ამ დროისთვის, ამ წუთისთვის, ამ კონკრეტული მომენტისთვის არის გამიზნული და არა ისტორიისთვის. რაღაც ხანია ჩვენს საზოგადოებაში აქტიურად ხდება ხელისუფლების მიმართ გარკვეული პრეტენზიების მუსირება, აღნიშნულ ფაქტს დროში სრულიად თანხვდება გადამდგარი პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომელიც გასაოცარი სიზუსტით „ჯდება" ამ ხელოვნურად ორგანიზებული უკმაყოფილების ატმოსფეროში.

იმაზე, რომ მთელი ეს პროცესი მართვადია და ვიღაცის მიერ არის წინასწარ დაგეგმილი, სწორედ ყოფილი პრემიერ-მინისტრის განმარტება მიგვანიშნებს. ის სიტყვასიტყვით იმეორებს იმ სტანდარტულ პრეტენზიებს, რომელიც საზოგადოებაში ბრუნავს. ამაში არაფერი გასაკვირი არ იქნებოდა, ბატონი თენგიზ სიგუა რომ პოლიტიკოსი არ იყოს. დიდი ამბავი, რამდენი ქალბატონი იმეორებს „სალონში" ყურმოკრულ ფრაზებს! მაგრამ ბატონი თენგიზ სიგუა პოლიტიკოსია, და ქალბატონებისაგან განსხვავებით მან მხოლოდ ყურმოკვრით არ უნდა იცოდეს ისეთი ცნებების მნიშვნელობა, როგორიც არის პრივატიზება, მიწის კანონი, კანონი საკუთრების შესახებ, პოლიტიკური ხელშეკრულება და სხვა...

ქალბატონებმა შეიძლება არ იცოდნენ და პრემიერ-მინისტრს კი ევალება იმის ცოდნა, რომ ქვეყანაში, რომელსაც საკუთარი საბანკო სისტემა არ გააჩნია, პრივატიზების ჩატარება შეუძლებელია. ეს თითქმის იგივეა, ეზოს გამოხვეტა ქარიან ამინდში დაიწყო. საჭირო მიიღო აუცილებელი ზომები, იმისათვის რომ შესძლო პრივატიზების შედეგად მიღებული ფულის შენს ქვეყანაში გაჩერება. ამისათვის, სულ ცოტა, საკუთარი ფული, საკუთარი ბანკი, საკუთარი საზღვრები და საკუთარი საბაჟო გჭირდება. პრივატიზების გარეშე სერიოზული ეკონომიკური რეფორმა ვერ გატარდება ბატონო ყოფილო პრემიერ-მინისტრო.

სანამ სახელმწიფო თავად არ გახდება თავისი ტერიტორიის ერთადერთი და სრულუფლებიანი მფლობელი, მიწას ვერ დაანაწილებს, იმიტომ რომ ჯერ უნდა მოიპოვო უფლება მიწაზე (მოგეხსენებათ, ჩვენ დღემდე ანექსირებული რესპუბლიკა ვართ) და მხოლოდ ამის შემდეგ გაასხვისო ის... ნუთუ მართლა არ იცის ეს საქართველოს რესპუბლიკის პირველმა პრემიერ-მინისტრმა?

ყველა ამ პრობლემას მხოლოდ რეალური დამოუკიდებლობა გადაწყვეტს, რისთვისაც აუცილებელია, რომ მსოფლიომ საქართველო სცნოს საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად. ამას კი დრო სჭირდება, შესაძლოა 10 თვეზე ცოტა მეტი. იმ დრომდე კი, ვიდრე ეს მოხდება და რეალური ეკონომიკური რეფორმების ჩატარების შესაძლებლობა გაჩნდება, საჭიროა მოსახლეობა უზრუნველვყოთ სასიცოცხლოდ აუცილებელი მინიმუმით, ქვეყანაში შევინარჩუნოთ სტაბილური, მშვიდი სიტუაცია. ესეც უნდა სცოდნოდა ყოფილ პრემიერ-მინისტრს.

პირადად მე პოლიტიკოსი არა ვარ და შეიძლება დეტალებში შეცდომაც დავუშვა, მაგრამ ზოგადად რომ სწორი ვარ, ეჭვი არ არის, ამიტომ მაკვირვებს გადამდგარი პრემიერ-მინისტრის პოზიცია. ვფიქრობ, რომ მის მიერ ასეთი გულახდილობით

(დასასრული მე-4 გვ.)

# სიკეთის მქმნელნი

**ერთი** წუთით გაიხსენეთ რაჭა. მთის კალთებზე შეფენილი ლამაზი ქართული სოფელი, ბუმბერაზ მთებს შორის გამოსრესილი შქმერი. უმშვენიერესია აქაურობა. ვერასოდეს იფიქრებ, თუ რაიმეს ძალუძს შეარყიოს წომბოთა და ხიხა მთა, მაგრამ ყოვლისშემძლე და დაუნდობელი ყოფილა სტიქია. ერთხელ „გაიზმორა" მიწამ და ერთიანად დაანგრია და დააქცია სოფელი. თუმც, ვერ შეაშინა ქართველი. მიწა ჯერ კიდევ ბორგავდა, ღმუოდა და ბობოქრობდა, შქმერელი კაცი რომ დანგრეულის აღდგენას ეპირებოდა. მაგრამ ერთი და ორი კაცი ვერ ააშენებდა მიწასთან გასწორებულ სოფელს და ამიტომაც სრულიად საქართველო დადგა მათ გვერდით.

შქმერში ყოფნისას უდიდესი სურვილი დაგვეუფლა, ყველასთვის გვეამბნა იმ ახალგაზრდა თბილისელი ბიჭების უშურველი შრომის შესახებ, პირველი დაძახებისთანავე რომ მოაშურეს ამ შორეულსა და მიუვალ სოფელს.

ვინ არიან ეს ახალგაზრდები: **ვახიკო გობეჯიშვილი, ნუგზარ ჩალაძე, ემზარ დალაქიშვილი, გია ცხვირავაშვილი, არჩილ ფრუიძე** და სხვები და სხვები, შქმერელების გვერდით რომ დგანან და მათ ჭირსა და ლხინს იზიარებენ. ისინი ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭები არიან, ვისთვისაც სიკეთის ქმნა სურვილად ქცეულა, მოყვასისათვის გაწეული შრომა კი — სიამოვნებად. ამ სურვილმა ერთი ორად აამაღლა ისინი, რადგან „არაფერი ისე არ ამშვენებს ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე"

ჩვენ ამ ბიჭების გაკეთებული საქმეების ჩამოთვლას არ ვაპირებთ, იქნებ ისინი განსაკუთრებულს არც არაფერს აკეთებენ, მაგრამ დანგრეულს ხომ აშენებენ, უნუგეშოს ხომ ანუგეშებენ.

სადაც საქმე კეთდება, იქ ხანდახან გაუგებრობაც ხდება ხოლმე, მაგრამ, იმედია, მშენებლები გულნატკენნი მაინც არ დარჩებიან, რადგანაც საქვეყნო საქმეს აკეთებენ და ბოლოს სრულიად საქართველო ეტყვის მათ მადლობას.

**ირმა ჯოხაძე**
**ხათუნა ბურდული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვლავ უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ

**ამ ბოლო** წლებში ბევრი ითქვა და დაიწერა უნივერსიტეტის (საერთოდ, უმაღლეს სასწავლებელთა) ავტონომიის აუცილებლობის შესახებ. წინამდებარე წერილის მიზანია ევროპის, პირველყოვლისა კი დიდი ბრიტანეთის საუნივერსიტეტო განათლების სისტემის მაგალითზე გაამყაროს აზრი საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი უნივერსიტეტების და პირველ რიგში — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სრული ავტონომია-თვითმმართველობის მინიჭების აუცილებლობის შესახებ.

უმაღლესი სასწავლებლები (უნივერსიტეტები) სრული ავტონომიით, ე. ი. ფართო თვითმმართველობით სარგებლობდნენ ჯერ კიდევ განვითარებული შუასაუკუნეებიდან. ამასთან, მათ ჰქონდათ საკუთარი იურისდიქცია. ეს მიმართულება იმდენად ძლიერი იყო, რომ მიუხედავად ეკლესიის მისწრაფებისა თავისი გავლენისათვის დაექვემდებარებინა უმაღლესი სასწავლებლები, უნივერსიტეტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა შეძლო ფართო თვითმმართველობის შენარჩუნება.

სრულ ავტონომიას დღესაც ინარჩუნებენ დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტები და ევროპა-ამერიკის ანალოგიურ სასწავლებელთა გარკვეული ნაწილი. სწორედ ამის წყალობით დიდ ბრიტანეთში შექმნილია და მრავალი ათწლეულის მანძილზე წარმატებით ფუნქციონირებს უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მეტად ეფექტური, უმაღლესი მაჩვენებლების მქონე სისტემა.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში უნივერსიტეტთა სახელმწიფო აპარატის მიერ დამორჩილებამ, მათი თვითმმართველობის უკიდურესად შეზღუდვამ განსაკუთრებით უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე გააძლიერა ბრძოლა უნივერსიტეტთა დემოკრატიზაციისა და მათთვის ავტონომიის დაბრუნებისათვის.

უმაღლეს სასწავლებელთათვის, პირველყოვლისა კი საუნივერსიტეტო განათლების სისტემისათვის ავტონომიის მინიჭების აუცილებლობის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ დიდი ბრიტანეთის მაგალითს, ქვეყნისა, რომელიც სამართლიანად ითვლება მსოფლიო საუნივერსიტეტო განათლების ერთ-ერთ სამშობლოდ და კლასიკურ ქვეყნად. მაგალითად, კემბრიჯის უნივერსიტეტი დაარსებულია 1209 წელს, ხოლო ოქსფორდისა მე-13 ასწლეულის ათიან წლებში.

სამეცნიერო კვლევათა დარგში მიღწევებისა და პოტენციალის მხრივ, ინგლისი ერთ-ერთი მოწინავეა მთელს მსოფლიოში. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა კლასიკური შედეგებით ჰუმანიტარულ თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ნებისმიერ დარგში. ამის უმთავრესი საფუძველი კი უმაღლეს დონეზე მდგარი საუნივერსიტეტო განათლება გახლავთ თავისი მძლავრი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურებით.

დღევანდელ დიდ ბრიტანეთში მოქმედებს 44 ფართო პროფილის უნივერსიტეტი, 8 ტექნიკური უნივერსიტეტი და 40-ზე მეტი ცალკე დარგობრივი უმაღლესი კოლეჯი. თითოეული ეს უმაღლესი სასწავლებელი ფართო ავტონომიითა და საკუთარი იურისდიქციით სარგებლობს.

ქვეყანაში ამჟამად არსებობს უნივერსიტეტთა ორი ძირითადი ტიპი. 1. ძველი (ტრადიციული) და 2. ახალი.

ძველ ტიპს განეკუთვნება მსოფლიოში განთქმული უძველესი სასწავლებლები: ოქსფორდის, კემბრიჯის, სენტ-ენდრიუსის, ლონდონის და სხვა უნივერსიტეტები. თითოეული მათგანი წარმოადგენს თავისუფალი საზოგადოების თავისებურ მოდელს თავისი იურისდიქციით, მართვის ორგანოებითა და ფინანსური საშუალებებით. რადგან ფინანსები ვახსენეთ, აღვნიშნავთ იმასაც, რომ მიუხედავად აღნიშნულ სასწავლებელთა სრული ავტონომიისა, მათი წარმატებული ფუნქციონირებისათვის დაწესებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველწლიური სოლიდური ნაწილი.

ძველი (ტრადიციული) ტიპის უნივერსიტეტები იყოფა მათდამი დაქვემდებარებულ რამდენიმე სპეციალიზებულ უმაღლეს კოლეჯად (რაც შეეხება ზემოხსენებულ 40-ზე მეტ ცალკე უმაღლეს კოლეჯს, ისინი დამოუკიდებელ და ავტონომიურ სასწავლებლებს წარმოადგენს). უნივერსიტეტთა სპეციალიზებულ (დარგობრივ) კოლეჯებს განაგებენ „კანცლერად“ წოდებული თანამდებობის პირები საკუთრივ უნივერსიტეტს კი განაგებს უმაღლესი კომპეტენციის მქონე ავტორიტეტული საბჭო, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს უნივერსიტეტის პრეზიდენტს.

თავისებურია ამ ტიპის უნივერსიტეტებში სწავლების მეთოდებიც. უმაღლესი დონის ლექციების პარალელურად (მდარე, თუნდაც საშუალო დონის ლექტორს კი მათში ვერ შეხვდებით!) დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტთა ინდივიდუალურ მეცადინეობას (მომზადებას), რომელსაც თვალყურს ადევნებენ „ტიუტორად“ წოდებული პედაგოგები. უდიდესი ყურადღება ეთმობა კონსულტაციებს, რომლებსაც საბჭოთა საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში ყოვლად უმნიშვნელო ადგილი ეთმობა. სწავლების სწორედ ეს ხერხია ლექტორთათვის ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო, რამეთუ კონსულტაციები აიძულებს მათ მუდმივად იყონ საუკეთესო ფორმაში. კონსულტაციების დროს მათ უხდებათ ორი საათის მანძილზე ამა თუ იმ საკითხში წინასწარ ზედმიწევნით მომზადებული სტუდენტის მრავალფეროვან შეკითხვებზე პასუხის (ამომწურავი პასუხის) გაცემა, შეკითხვებზე, რომელთაგან ბევრი ყოვლად მოულოდნელია ლექტორისათვის. ამასთან, თითოეულ სტუდენტს შეუძლია თავად აირჩიოს ამა თუ იმ საგნის ლექტორი. სასწავლო პროცესის მაღალი შედეგების უზრუნველყოფის მიზნით, დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში არ გახლავთ მიღებული სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფების შედგენა.

ამდენად, სწავლების პროცესი უცილობლად გულისხმობს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ორმხრივ პასუხისმგებლობას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე. სტუდენტი, რომელიც პირველი სასწავლო წლის დახურვის დროისათვის ვერ დაძლევს პროგრამას, ავტომატურად სტოვებს უნივერსიტეტს. იგივე ემართება ლექტორს, რომლის ლექცია-სემინარების და კონსულტაციების დონე ვერ უპასუხებს დიდი ბრიტანეთის საუნივერსიტეტო განათლების მოთხოვნილებებს.

ამასთან, სტუდენტები იხდიან საკმაოდ მაღალ გადასახადს. გადასახადისაგან ნაწილობრივი ან მთლიანად განთავისუფლების ყოველ კონკრეტულ საკითხს განიხილავს უნივერსიტეტის შესაბამისი კოლეჯის ხელმძღვანელობა.

სტუდენტები აქტიურად არიან ჩაბმულნი უნივერსიტეტის (კოლეჯის) სამეცნიერო-კვლევით და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისინი ადრიდანვე ეუფლებიან კვლევითი მუშაობის ჩვევებს, რასაც დიდად უწყობს ხელს უნივერსიტეტთან არსებული დარგობრივი სამეცნიერო ლაბორატორიების კვლევით საქმიანობაში მათი ჩართვა. ყოველივე ამის შედეგად, მეცნიერულ მოღვაწეობას განაგრძობენ უნივერსიტეტის მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო კურსდამთავრებულნი, რომელთაც სათანადო დარგის პროფესორის რეკომენდაციისა და სათანადო დონის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის წარდგენის შემთხვევაში ენიჭებათ მეცნიერების ან ხელოვნების ბაკალავრის საწყისი სამეცნიერო ხარისხი.

რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტთა მეორე — ახალ ტიპს, რომელსაც ასევე სრული ავტონომია გააჩნია (ამ ტიპს განეკუთვნება ბირმინჰემის, ლივერპულის და სხვა ცნობილი უნივერსიტეტები), იგი ძირითადად უმაღლესი კვალიფიკაციის მკვლევარებითა და ინჟინრებით ამარაგებს ქვეყნის მრეწველობას. ამ ტიპის სასწავლებლებში უმთავრესი ყურადღება საბუნებისმეტყველო-ტექნიკურ დარგებს ექცევა.

უმაღლეს სასწავლებელთა, უნივერსიტეტთა ავტონომია როდი ნიშნავს მათი საქმიანობის უკონტროლობას. ყოველი უმაღლესი სასწავლებელი უნდა ემორჩილებოდეს ქვეყნის პარლამენტს, განუხრელად უნდა იცავდეს სახელმწიფო კანონმდებლობასა და კონსტიტუციურ ნორმებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში უმაღლესი სასწავლებლის, უნივერსიტეტის რექტორს (ან პრეზიდენტს) უნდა ამტკიცებდეს რესპუბლიკის პარლამენტი (იმედია, ის დებულება, რომელიც რექტორთა პრეზიდენტის მიერ დანიშვნა-დამტკიცებას ითვალისწინებს, დროებითია და საბოლოოდ ეს ფუნქცია სწორედ პარლამენტს დაეკისრება). მაგრამ, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ორგანოთა ჩაურევლად და ამასთან, სრული ობიექტურობის დაცვით, ყოველგვარი იდეოლოგიურ-პარტიული დიქტატის გარეშე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაერთიანებულ საჯარო სხდომაზე (და არა მხოლოდ სამეცნიერო საბჭოს დახურულ სხდომაზე!) სასწავლებლის წინამძღოლად არჩეულ იქნება ორივე მხარისათვის სასურველი, ღირსეული პიროვნება. სრული ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, ამგვარ სხდომას დამკვირვებლის სტატუსით ესწრებოდეს პარლამენტის წარმომადგენელი — სათანადო ცენზისა და კომპეტენციის პიროვნება. რესპუბლიკის პარლამენტი კი უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ნების აღმასრულებელი. მხოლოდ მას უნდა ჰქონდეს სასწავლებლის გაფართოებულ საერთო კრებაზე არჩეული რექტორის დამტკიცების უფლება.

უმაღლეს სასწავლებელთა, უნივერსიტეტთა ამგვარი ავტონომია და თვითმმართველობა ხელისშემწყობი ფაქტორი იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ვენის შეხვედრის (1986 წ.) შემაჯამებელი დოკუმენტით განათლების დარგში თანამშრომლობისა და გაცვლის შესახებ გათვალისწინებულ ამოცანათა განხორციელებისათვის.

აქვე, ინტერესმოკლებული არ იქნება, გავიხსენოთ ის უარყოფითი, მახინჯი შედეგები, რომლებიც მოჰყვა საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის უხეშ ჩარევას უმაღლეს სასწავლებელთა საქმეებში, მის მიერ უმაღლესი განათლების სისტემის ავტონომიის სრულ უგულებელყოფას. ამის საილუსტრაციოდ რად ღირს თუნდაც ე. წ. საბჭოთა დირექტიული ორგანოების საიდუმლო ინსტრუქცია (მოსკოვი, 1947 წლის 2 ივნისი. საკავშირო საჯკომის ბრძანება 003/47), რომელშიც ვკითხულობთ: „უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში მიღებულ უნდა იქნენ პირველყოვლისა ისინი, რომელნიც მოსახლეობის უმდაბლეს ფენებს განეკუთვნებიან და რომელთაც არ აინტერესებთ ღრმა ცოდნისა და სპეციალობის მიღება, არამედ აინტერესებთ მხოლოდ და მხოლოდ დიპლომის მიღება“. დამეთანხმებით, — სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! უბედურებაა, რომ ამგვარი ამაზრზენი დირექტივები ხორციელდებოდა ათწლეულების მანძილზე, რამაც საბოლოო ჯამში ბალასტით გაავსო უმაღლესი სასწავლებლები, გაამეფა კორუფცია და მომხვეჭელობა. ყოველივე ამან კი უკანა პლანზე დასწია ის, რაც უმთავრესი უნდა იყოს ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის ყველა სტუდენტისა თუ პედაგოგისათვის. ამგვარი იდიოტური დირექტივების შედეგი გახლდათ უმაღლესი განათლების სისტემის ის ყოვლად უსახო ხორცმეტი, რომელსაც „მოსამზადებელი ფაკულტეტი“ ეწოდება. ამ „ფაკულტეტების“ შესახებ დირექტიულ მასალებში ხომ ცალსახადაა ფიქსირებული, რომ ამ ფაკულტეტებზე არ უნდა დაეშვათ ინტელიგენტურ ოჯახთა „ნაშიერნი“! ეს ტენდენცია თვალნათლივ იჩენდა თავს ამ ქვედანაყოფთა წინამორბედის — ე. წ. „მუშათა ფაკულტეტების“ სახელწოდებაში.

საბჭოთა უმაღლესი განათლების სისტემაში სახელმწიფოს უხეში ჩარევის შედეგი გახლავთ ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ სასწავლო პროცესის ყოვლად აბსურდული გეგმებისადმი დაქვემდებარებიდან გამომდინარე, ამ ბოლო დრომდე ფართოდ იყო ფესვგამდგარი რევიზიულ-ადმინისტრაციული მეურვეობა ზოგადი და კონკრეტული ცოდნის ზრდა-განვითარებაზე, მეურვეობა, რომელიც წინდაწინვე იყო განწირული დასაღუპავად. ამ მავნე გეგმიანობამ უმაღლესი განათლების სისტემა ციფრებისა და დიპლომების ქარხანად აქცია.

ინფორმაციის მოცულობის განუხრელმა ზრდამ უმაღლესი განათლება დააყენა წინაშე კითხვისა — რა ვიღონოთ? მივცეთ სტუდენტებს ზოგადი განათლება, თუ ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ კონკრეტულ დისციპლინებზე?

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს განვითარებულ, პროგრესულ ქვეყნებში, სადაც უმაღლესი, საუნივერსიტეტო განათლება ფართო ავტონომიით სარგებლობს, კარგა ხანია აირჩიეს შუალედური დონე ამ ორ უკიდურესობას შორის: იქ უცილობელ მოთხოვნილებას წარმოადგენს ის, რომ უმაღლესი სასწავლებლის (მეტადრე ჰუმანიტარული დარგის) ნებისმიერი კურსდამთავრებული კონკრეტულ დისციპლინაში მიღებულ ცოდნასთან ერთად აკმაყოფილებდეს ზოგადი განათლების დარგში დაწესებულ აუცილებელ მოთხოვნილებებს.

საბჭოთა იმპერიაში კი იმთავითვე აირჩიეს მხოლოდ კონკრეტულ დარგებში განათლება, ხელაღებით უგულებელჰყვეს რა ზოგადი განათლების აუცილებლობა. და ეს გასაგებიცაა, რამეთუ 1917 წელს ჩასახულ ტოტალიტარულ ბოლშევიკურ სისტემას ინტელიგენტი, ფართოდ განსწავლული პიროვნებანი არა თუ არ სჭირდებოდა, არამედ ასეთები ზიანის მომტანნიც კი იყვნენ მისთვის. ახალ სისტემას ამა თუ იმ დარგში უსიტყვო შემსრულებელთა „არმია“ სჭირდებოდა და არა ფართოდ განსწავლული ინტელიგენცია — ბურჟუაზიული საზოგადოების ეს „მავნე გადმონაშთი“. სიტყვები — „ინტელექტუალი“ და „არისტოკრატი“ ხომ შვიდი ათეული წლის მანძილზე სალანძღავ, სათათხავ სიტყვებად იყო ქცეული.

აი, ამგვარი გახლდათ საბჭოეთში უმაღლეს განათლებაზე „ზრუნვის“ „თვალწარმტაცი“ შედეგები.

აქვე, კარგი იქნება, თუ კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, — ქართული უმაღლესი განათლების ავანგარდის, ისტორიის პირველ ეტაპს (1918-1926 წ.წ.), დიდი ივანე ჯავახიშვილისა და მის თანამოაზრეთა თავდადებულ მოღვაწეობას უნივერსიტეტის ავტონომიის შენარჩუნებისათვის.

გავიხსენოთ ის, რომ ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით უნივერსიტეტის პროფესორთა პირველი თაობის თავდადებული ბრძოლა ავტონომიის შენარჩუნებისათვის, ერთის მხრივ, და საბჭოთა რეჟიმის მიერ ამ ავტონომიის ყოველმხრივ ხელყოფა, მეორეს მხრივ, გახდა მიზეზი 1926 წელს უნივერსიტეტის რექტორობიდან ივ. ჯავახიშვილის გათავისუფლებისა და გამოჩენილ პროფესორთა დევნისა.

1922 წლის დეკემბერში დიდმა მამულიშვილმა მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საქართველოს განათლების სახკომს კანდელაკს. ეს მოხსენება მოწონებული იყო პროფესორთა საბჭოს თითქმის მთელი შემადგენლობის მიერ (მასში კი 60-მდე მეცნიერი შედიოდა). მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ უმაღლეს სასწავლებელთა შესახებ სახკომის მიერ შემუშავებული და საბჭოთა მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად წარდგენილი დებულება დიდად ზღუდავდა უნივერსიტეტის სრულ ავტონომიას, რასაც პროფესორ-მასწავლებელთა და პროგრესულად მოაზროვნე სტუდენტთა სამართლიანი აღშფოთება მოჰყვა.

ივ. ჯავახიშვილი ითვალისწინებდა რა რუსეთისა და ევროპის საუნივერსიტეტო განათლების სისტემას, უქადაგებდა მას ქართული ეროვნული უმაღლესი განათლების და მეცნიერების ინტერესებს. ქართული უნივერსიტეტის ოთხწლიანი მოღვაწეობის განხილვის საფუძველზე სახელოვანი მეცნიერი გადაჭრით ილაშქრებდა სასწავლებლის ავტონომიის შეზღუდვის, მისი უკვე დამკვიდრებული სტრუქტურულ-ორგანიზაციული წყობის ხელაღებით შეცვლის, მეცნიერთა კლასიფიკაციის ახალი სისტემის შემოღების წინააღმდეგ.

საბჭოთა რეჟიმის მიერ უნივერსიტეტის წესდების ხელყოფის შიშით 1923 წლის მაისში ივ. ჯავახიშვილმა შეადგინა თბილისის უნივერსიტეტის ახალი წესდება, რომელშიც იგი ყოველმხრივ იცავდა ავტონომიის იდეას (თუმცა, იძულებული იყო მისი გარკვეული სახეცვლა მოეხდინა) და ამავე დროს ითვალისწინებდა ევროპული საუნივერსიტეტო განათლების უახლეს მიღწევებს. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი მოწონებულ იქნა პროფესორთა საბჭოს მიერ, მას უგულებელჰყოფდა რესპუბლიკის საბჭოთა მარიონეტული მთავრობა. 1923 წლის 12 იანვარს ძალაში შევიდა უმაღლეს სასწავლებელთა შესახებ განსახკომის მიერ შემუშავებული ახალი დებულება. ამან იმავე წლის 26 იანვარს უნივერსიტეტის რექტორი აიძულა ოფიციალურად მიემართა პროფესორთა საბჭოსათვის, რათა განეხილათ თანამდებობიდან მისი განთავისუფლების საკითხი. აი, ყოველივე ამან აიძულა იგი შეედგინა ახალი წესდება, რომლის პუნქტებს არ ეწერა აღსრულება!

1923 წლის 30 მარტს ჩატარებულ არჩევნებზე საბჭოს 59 წევრმა (ე. ი. მთელმა შემადგენლობამ) ხმა მისცა რექტორის პოსტზე კვლავ ივანე ჯავახიშვილის არჩევას.

გავიდა რამდენიმე წელი და 1925 წლის შემოდგომაზე დაისვა უმაღლესი სასწავლებლების შესახებ მორიგი დრაკონული დებულების დამტკიცების საკითხი. თუ წინა დებულებით უნივერსიტეტს რჩებოდა ავტონომიის მცირედი ნიშნები, ახალი პროექტით იგი საერთოდ მიწასთან იყო გასწორებული. თითქმის ნულამდე იყო დაყვანილი უნივერსიტეტის საბჭოს ფუნქციები.

დიდმა მეცნიერმა ახალი მოხსენებითი ბარათი წარუდგინა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარს. იგი გადაჭრით მოითხოვდა უნივერსიტეტისათვის ავტონომიისა და მმართველი ორგანოებისათვის წინანდელი უფლებამოსილების დაბრუნებას.

„ცხადია, ამ პროექტის დაკანონება ჩვენს კულტურულ წარმატებას ზიანს მოუტანს და მის წინსვლასაც შეაფერხებს“, — ამ სიტყვებით მთავრდება ხსენებული მოხსენებითი ბარათი.

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ 1926 წელს დიდი მამულიშვილი გაათავისუფლეს რექტორის თანამდებობიდან. სწორედ აღნიშნულ წელს სამუდამოდ დაესვა წერტილი ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის ყოველგვარ ავტონომიას. იმავე ხანებიდან დაიწყო ხელისუფლების მიერ მოწინავე პროფესორ-მასწავლებელთა მიზანდასახული და გეგმაზომიერი რბევა.

ინტერესმოკლებული არ იქნება, გავიხსენოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი დებულების (1918 წ.) რამდენიმე პუნქტი:

(დასასრული მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს მწვანეთა განცხადება

**თბილისში** 2 სექტემბერს გაიმართა ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მშვიდობიანი მიტინგი პრესის თავისუფლების მოთხოვნით, რომელიც დარბეულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღისა და ხელკეტების გამოყენებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო დანიშნულების შენაერთების მიერ. არიან დაჭრილები. საქართველოს მწვანეები გმობენ მომხდარი ძალადობის ფაქტს, ვინაიდან სავსებით დაუშვებლად მიაჩნიათ ძალის გამოყენება მშვიდობიანი მანიფესტანტების წინააღმდეგ, რაც წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ელემენტარული ნორმების უხეშ დარღვევას.

საქართველოს მწვანეები მოითხოვენ, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ განმარტოს და შეაფასოს მომხდარი ფაქტი. უზრუნველყოს საქართველოში სიტყვის, გამოსვლებისა და პრესის სრული თავისუფლება.

ვინაიდან საქ. მწვანეების აზრით დღევანდელი მოვლენები ასახავს საქართველოში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას, საქ. მწვანეები გამოდიან ინიციატივით მოეწყოს საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის კონფერენცია, რათა თავიდან ავიცილოთ დესტაბილიზაცია და უზრუნველვყოთ საქართველოში მიმდინარე პროცესების მშვიდობიანი ხასიათი.

**2 სექტემბერი, 21.00**
**თბილისი**

**რედაქციისაგან:** უნდა მოგახსენოთ, რომ უცნაურ „დამთხვევად" მოსჩანს მიტინგის დაჟინებით მოწყობა იმ დღეს, როდესაც კრემლში მიმდინარე ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან გაისმა, რომ დამოუკიდებლობა იმ რესპუბლიკებს ეძლევა, სადაც სტაბილური ვითარებაა და სიმშვიდე სუფევს, როდესაც თბილისში იმყოფებოდნენ ამერიკელი კონგრესმენები, რომლებიც მეტად მნიშვნელოვან საქმიან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ საქართველოს ოფიციალურ მთავრობასა და ხელისუფლებასთან. და ეს მაშინ, როდესაც მიტინგის მომწყობი ორგანიზაციის ლიდერმა ვერ გამონახა დრო და საშუალება 29 აგვისტოს მონაწილეობა მიეღო ტელედებატებში, რაზეც რამდენიმე ხნით ადრე თანხმობა განაცხადა და ამის შესახებ საზოგადოებას ოფიციალურად ეუწყა. როგორც ჩანს, მას და მიტინგის სულისჩამდგმელ სხვა ბატონებს უფრო მნიშვნელოვანმა ამოცანამ ათქმევინა უარი ღია ეთერში გარანტირებულ ტელედისკუსიაზე, თორემ ნებისმიერი **მშვიდობიანი მოთხოვნისათვის,** მათ შორის პრესის თავისუფლების მოთხოვნისთვისაც, ტელეეკრანზე უკეთესი ტრიბუნა და უფრო ფართო აუდიტორია ბუნებაში არ არსებობს.

რაოდენ მართებულია ალალ პროვოკაციად ჩაფიქრებული აქცია „მშვიდობიან მანიფესტაციად" მოინათლოს, ეს ადამიანის უფლებათა დაცვის მოტრფიალე ბატონების სინდისზე იყოს.

მწვანეების განცხადების ბოლო, თითქოსდა უწყინარ, ნაწილში რამდენიმე სერიოზული აზრია გატარებული, კერძოდ, საქართველოში შექმნილია კრიზისული მდგომარეობა, რესპუბლიკის კანონიერ ხელმძღვანელობას არ ძალუძს ვითარების კონტროლი მთელს საქართველოს ტერიტორიაზე და ამიტომ ჩვენში არსებული რაღაც-რაღაც პარტიები თავისთავზე იღებენ პასუხისმგებლობას, რათა კრიზისული მდგომარეობიდან გამოიყვანონ საზოგადოება. ამ „კეთილშობილურ" განზრახვაში რამდენიმე საშიში აზრია გატარებული. საქმე ისაა, რომ პოსტულატად ამ ყველაფრისა დევს აზრი, რომ საქართველოში პრაქტიკულად არის ხელისუფლების კრიზისი, ანუ ხელისუფლება ვერ აკონტროლებს ვითარებას, მას არა აქვს ხალხის ნდობა და ეს სხვა არაფერია, თუ არა რევოლუციური მდგომარეობა ქვეყნად. საკამათოც არ არის, რომ ეს აბსურდია, პროვოკაციის ერთი ნაწილია. მათი სურვილია შექმნან შთაბეჭდილება, რომ ვითარება რევოლუციურია, და საზოგადოება დაარწმუნონ ხელისუფლების უნიათობაში. შემდეგი ნაბიჯი — ახლა ვითარება რევოლუციურია, ხელისუფლება ვერ აკონტროლებს მას, რაღაცა ძალები თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას, ეს ის ძალებია, სხვათა შორის, რომელთა რეიტინგი პრაქტიკულად ნულის ტოლია, რაც დაადასტურა ყველა იმ არჩევნებმა, რომელიც საქართველოში ჩატარდა (უზენაესი საბჭოს, პრეზიდენტის, ადგილობრივი საკრებულოების). გამოდის, რომ დაბალი პოლიტიკური რეიტინგის მქონე პოლიტიკურ პარტიებს აქვთ რაღაც, ყველასათვის გაუგებარი საფუძველი, რომ მათი რეიტინგი ამაღლდა, ისინი რეალურად ფლობენ კონტროლის მექანიზმის საშუალებებს და ამავე დროს არ არსებობს არავითარი სამართლებრივი გზა ამ თავიანთი წარმოსახვითი უფლებამოსილების და ძალის რეალიზაციისა, ვინაიდან ასეთი რამ (ე. ი. ხელისუფლების ხელში აღება იმ ძალის მიერ, რომელსაც რეალური მხარდაჭერა აქვს) მხოლოდ არჩევნების მეშვეობით შეიძლება მოხდეს. როგორც მოგეხსენებათ, არჩევნები ცოტა ხნის წინ ჩატარდა და ძალზე საეჭვოა, რომ ვითარება ასე რადიკალურად შეცვლილიყო, და რაც მნიშვნელოვანია — ხელახალი არჩევნების ჩატარებას სჭირდება ჯერ ერთი სერიოზული საფუძველი და მეორეც ერთი, გარკვეული დრო. ამ პერიოდის მანძილზე, ვიდრე ეს მოხდება, საინტერესოა, რას აპირებს, რომ მოიმოქმედოს ამ პოლიტიკური ორგანიზაციების კონფერენციამ? მთელი ამ განცხადების პათოსიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი აპირებს უახლოეს მომავალში (ვერ დაელოდებიან არჩევნებს, რადგან გადასაწყვეტია გარკვეული იურიდიული პრობლემები, შესაცვლელია საარჩევნო სისტემა და ა. შ. და ა. შ.) პრაქტიკულად ხელისუფლების ხელში აღებას იმ მოტივით, რომ არსებული ხელისუფლება ვერ ფლობს სიტუაციას რესპუბლიკის ტერიტორიაზე. **ეს სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა, კონსტიტუციური წყობილების ძალადობით დამხობისა და უკანონო ხელისუფლების დამყარებისა.** ეს რომ თავისთავად მხოლოდ ჩვენი შინაური პრობლემა იყოს, ალბათ არ გამოიწვევდა ესოდენ აღშფოთებას. საქმე ის გახლავთ, რომ ასეთი ღონისძიებების განხორციელების სურვილი დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის დასამარების მცდელობას. ამას შეიძლება მოყვეს სავალალო შედეგები საქართველოს მომავლისთვის იგივე რუსეთის იმპერიის მხრიდან, სამხედრო ჩარევის გზით, რაც უკვე გამართლებული იქნება როგორც საერთაშორისო საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე საქართველოს შინაგანი პოლიტიკური აზრის გათვალისწინებით. მათ ექნებათ საბაბი თქვან, რომ საქართველოში მიმდინარეობს უმართავი პროცესები, რაც გამოიწვია საქართველოს ხელისუფლების არასწორმა კურსმა. (ამ კურსის „არასწორობა" სინამდვილეში იმაში გამოიხატება, რომ საქართველოს ხელისუფლებას სურს საქართველოს დამოუკიდებლობა, და არა სურს სამოკავშირეო ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიღება), დიახ, ამას დაგვდებენ „ბრალად", რომ ჩვენ არ გვსურს სამოკავშირეო ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიღება, ამან კი გამოიწვია საქართველოს მოსახლეობის უკმაყოფილება, რაც ეჭვს ქვეშ აყენებს (რა თქმა უნდა ირიბად) რეფერენდუმის შედეგებს. ეს უმნიშვნელოვანესი მომენტია. მათ ექნებათ საშუალება თქვან, რომ რეფერენდუმი იყო გარკვეულწილად გაყალბებული, არ ასახავდა ქართველი ხალხის აზრს, რასაც აი, ეს პროცესები, რომელსაც განცხადების ავტორები გვთავაზობენ, ადასტურებს. საჭიროა ხალხის გადარჩენა და მესიანისტური რუსეთი კიდევ ერთხელ ჯარით ჩამობრძანდება საქართველოში, რომ კიდევ ერთხელ იხსნას, უკვე მესამედ, საქართველო კატასტროფისაგან.

ეს ნაწილი ამ განცხადებისა კვალიფიცირდება შემდეგნაირად — ეს არის ფაქტობრივად, არსებითად, სიღრმისეულად ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იმ პროვოკაციული პაკეტისა, რომელიც დაიწყო 2 სექტემბერს ქ. თბილისში, რომელიც ინსპირირებულია იმპერიის მიერ და მისი მიზანია საქართველოში არსებული კონსტიტუციური წყობილების ძალადობით დამხობა და საქართველოს ხელახალი ანექსია რუსეთის იმპერიის მიერ. საოცარია პოზიცია იმ ადამიანებისა, რომლებიც ამას ვერ ხედავენ და ფსევდოდემოკრატიული იდეებით შენიღბული პროვოკატორების ჯგუფს მიჰყვებიან უკან და ფაქტობრივად ასამარებენ იმას, რისთვისაც ქართველი ერი იბრძოდა მთელი თავისი არსებობის მანძილზე, ზოგჯერ წარმატებით, ზოგჯერ წარუმატებლად, მაგრამ იბრძოდა. და ღმერთმა დაგვიფაროს — ეს რომ განხორციელდეს, ეს იქნება ერთი ნაწილი საქართველოს ბედკრული ისტორიისა და ამ ადამიანთა გვარები მოღალატეთა სიაში შევა. ისტორია პირუთვნელია... დღეს პოლიტიკური იარლიყების მიკერებას მძაფრად განიცდის როგორც ჩვენი, ისე დასავლეთის საზოგადოება, ამას ჩვენ მაქსიმალურად უნდა მოვერიდოთ, მაგრამ ისტორიას ვერავინ გაექცევა, და ამ ბატონების საქციელს ჩვენი შვილები და შვილიშვილები შეაფასებენ. დაფიქრდნენ ამაზე, რას უმზადებენ თავიანთ მომავალს. სამარცხვინო გვარები კი მალე ამოტივტივდება საქართველოს ისტორიაში.

P. S. მას შემდეგ, რაც ცენტრალური ტელევიზიის დიქტორმა ბატონ შევარდნაძეს ინტერვიუ ჩამოართვა, ყველაფერს ფარდა აეხადა.

# რატომ გადადგა პრემიერ-მინისტრი

**(დასასრული)**

გათამაშებული არაკომპეტენტურობა მთლად უვნებელიც არ უნდა იყოს. ალბათ, არ არის შემთხვევითი, რომ იგივე მართვად საზოგადოებაში, რომლის გულისწყრომას გასაოცარი იდენტურობით ემთხვევა ყოფილი პრემიერ-მინისტრის პრეტენზიები, უკვე გაისმის ხმები იმის შესახებ, რომ გადადგეს ახლანდელი პრეზიდენტი და მისი პოსტი დაიკავოს... ბატონმა თენგიზ სიგუამ (ბევრი ვეცადე შენთვისო, ძლივს გამოვიდა ჩემთვისო!).

ახლა ორიოდ სიტყვით დღევანდელი ხელისუფლებისა და მთავრობის არაპროფესიონალიზმისა და არაკომპეტენტურობის შესახებ. როგორი პრეტენზიებიც არ უნდა გვქონდეს მათ მიმართ, რეალობა ასეთია: — საქართველო არის 5-მილიონიანი ქვეყანა, რომელიც ცდილობს დამოუკიდებლობა გამოგლიჯოს 250-მილიონიან საბჭოთა კავშირს. მას აქვს სრულიად განადგურებული ეკონომიკა. ბოლო 10 თვეში გადაიტანა 2 დამანგრეველი მიწისძვრა, თითქმის ერთი წელიწადია აწარმოებს ომს რუსის ჯართან ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, იმყოფება ეკონომიკურ იზოლაციაში. არ მოუღია და უახლოეს მომავალში არც ელის რეალურ დახმარებას ვინმესგან. ნახევარი ქვეყანა დანგრეულია. არ ცხრება პროვოკაციები ქვეყნის შიგნით.

ეს უმძიმესი ფაქტობრივი რეალობა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონეს თითქმის არ დაეტყო, ჩვენი ყოფა მხოლოდ უმნიშვნელოდ გაუარესდა (არ ვგულისხმობთ მათ, ვისაც უშუალოდ შეეხო ნგრევა და ომი). თითოეული ჩვენგანის მატერიალური შეძლება, რაციონი, ცხოვრების ხარისხი ბევრად აღემატება იმ დონეს, რაც ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას შეეფერება. იმის არდანახვა, რომ ეს ძირითადად დღევანდელი ხელისუფლების დამსახურებაა, თვალის ძალით დაბრმავებას ნიშნავს. საყვედურიც ვთქვათ, მაგრამ უმადურები ნუ ვიქნებით და ღირსებას ნურავის დავუკარგავთ — ჩვენ ნამდვილად არ გვიჭირს ისე, როგორც ჩვენი უმძიმესი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე უნდა გვიჭირდეს.

**თამარ ებრალიძე**

**რედაქციის მინაწერი: ჩვენს სარედაქციო ფოსტაში გვხვდება წერილები, რომელიც საოცრად თანხვდება ზოგიერთ მოღვაწეთა ბოლო პერიოდის პოპულისტურ ნააზრევს, რეალურად კი შეუნიღბავ მეშჩანურ სულისკვეთებას გამოხატავს. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ადგილებს ქობულეთის რაიონის მკვიდრის ბატონი ლავრენტი მამასახლისის წერილიდან: „საქართველოში ეხლანდელი შექმნილი ვითარებამ არ შეიძლება ორი სიტყვა არ ათქმევინოს იმ ქართველს, ვისაც მომავალი თაობის ბედნიერება სურს. ეკონომიკური კრიზისი თავს დაატყდა ისევ მშრომელ ხალხს და თუ ასე კიდევ გაგრძელდა ჩვენ დავკარგავთ იმ შრომელ ხალხს ვინც კეთილსინდისიერათ შრომობდა. ხალხი თავს დაანებებს მუშაობას და ხელს მიყოფს ქურდობას, სპეკულაციას და სხვადასხვა მაქინაციებით თავის რჩენას. ვინაიდან ამ ერთი წლის განმავლობაში „მრგვალი მაგიდის" მთავრობამ რაიმე ოდნავი ცვლილება ვერ მიაღწია ეკონომიკის რაიმე სფეროში... ჩემი აზრით და გამოკითხული ხალხის უმრავლესობის აზრით (ბატონი ლავრენტი, ალბათ, საკუთარი ნაცნობების წრეს გულისხმობს — რედ.) საქართველოს ხსნა ეხლა შეიძლება იმით რომ დროებით მაინც მოვაწეროთ ხელი სამოკავშირეო ხელშეკრულებას ერის გადასარჩენათ. ამ ერთმა წელმა ის დაგვანახა, რომ ქართველი ერის ფსიქიკაში კიდევ არა აღმოფხვრილი ერთმანეთისადმი დაუნდობლობა, ტახტისთვის ბრძოლა... შაქარი და კარაქი დასანახათ მენატრება. თუ თავის იმედი არ ჰქონდათ მაშინ ყოფილიყო ისევ ის კომუნისტები თუ არ გყავდათ მთავრობის სამართავი ხალხი.... საქართველოში ერთმანეთისადმი უპატივცემლობამ კინკლაობამ ლანძღვა-გინებამ მიგვიყვანა აქამდის. მე კიდევ ვიმეორებ თუ თქვენ საქართველოს მომავალი გაინტერესებთ აუცილებელია ჯერჯერობით დროებით სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. როდესაც ქართველი ერი ერთმანეთისადმი იქნება პატრიოტულათ განწყობილი ყველა ჩაებმება შრომაში ეკონომიურათ მოვმძლავრდებით გვექნება ორი წლის მარაგი მაინც შემდეგ შეიძლება ლაპარაკი გამოყოფაზე. ზოგჯერ პოლიტიკაში საჭიროა დროებითი უკუ სვლა კარგი მომავლისათვის. მე ვიცი რომ ქართული უშიშროება ამ წერილს როგორც ადრე არ მაპატიებს..." (სტილი დაცულია).**

**ბატონ ლავრენტის ვარწმუნებთ, რომ „ქართული უშიშროებისგან" საფრთხე არ ელის.**

**ჩვენ კი გულისტკივილით დავძენთ, რომ ისტორიის წინაშე თავს ვერ მოვიწონებთ იმით, რომ საქართველოს პირველმა პრემიერ-მინისტრმა თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე არსებითად ამ ობივატელური მენტალიტეტის გაღვივებასა და განმტკიცებას შეუწყო ხელი.**

# კვლავ უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ

**(დასასრული)**

„1. ტფილისის უნივერსიტეტი, როგორც სამეცნიერო-სასწავლო სფეროს მხრით, ისე საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაგანი მეურნეობის მხრითაც სრულებით ავტონომიურია და ყველა ამ დარგის საქმეებს თვითვე განაგებს.

2. უნივერსიტეტის მთავარ ორგანოთა მოქმედების საზოგადო მეთვალყურეობა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის უფლებას შეადგენს...

7. პროფესორები, კერძო დოცენტები (იგივე პრივატ-დოცენტები — ლ. უ.), მეცნიერ ხელმძღვანელნი, ასისტენტები, ლექტორები და ლაბორანტები ლექციებს ქართულად კითხულობენ. ქართულადვე სწარმოებს საქმითი ვარჯიშობაც.

**შენიშვნა.** განსაკუთრებულს შემთხვევაში პროფესორთა საბჭოს უფლება აქვს ნება დართოს ლექციების კითხვისა უცხო ენაზედ...

17. სტუდენტები და მსმენელნი ლექციების მოსმენისათვის უნივერსიტეტის სასარგებლოდ ყოველ სემესტრში ფულს იხდიან, რომლის რაოდენობა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ უნდა იყოს განსაზღვრული...

19. ნიჭიერს და სამეცნიერო კვლევა-ძიების უნარის პატრონს სწავლადამთავრებულს სტუდენტს სათანადო ფაკულტეტის პროფესორთა საბჭო პროფესორთა შუამდგომლობით უნივერსიტეტთან სტოვებს ჯერ სამეცნიერო კვლევა-ძიებაში დასაწინაურებლად, ხოლო შემდეგ პროფესორობისათვის მოსამზადებლად (ე. ი. ასპირანტურაში — ლ. უ.)...

22. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საკუთარი ბეჭედი და დროშა აქვს".

სხვა პუნქტებით დებულებისა ჩამოყალიბებულია პროფესორთა, კერძო დოცენტთა, მეცნიერ ხელმძღვანელთა, ლექტორთა, ასისტენტთა და ლაბორანტთა უფლება-მოვალეობანი., სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისა და საშტატო ერთეულის დაკავების მექანიზმი, სტუდენტთა უფლება-მოვალეობანი, ყოველწლიური ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების და სხვა საკითხები.

აღსანიშნავია ისიც, რომ რესპუბლიკის პარლამენტისა და მთავრობის მიერ უნივერსიტეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო საკმაოდ მოზრდილი თანხა.

ჩვენის აზრით, უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენის შემთხვევაში, ეს კი, როგორც დავინახეთ, სასწავლო და კვლევითი პროცესის ნორმალურად წარმართვის აუცილებელი პირობაა, სასურველი იქნება მისი ძველი შესანიშნავი დროშისა და ბეჭდის აღდგენა.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმული ნათლად მეტყველებს საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი უნივერსიტეტებისა და სასწავლო ინსტიტუტებისათვის სრული ავტონომიის მინიჭების სასარგებლოდ.

**მინაწერი:** **ცხადია, რედაქცია ეთანხმება პუბლიკაციაში გამოთქმულ მოსაზრებას უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიის აუცილებლობის შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ იდეას მიესალმება და არავითარ შემთხვევაში თვითონ ფაქტს ავტონომიისას. პუბლიკაციაში ხსენებულ „ინსტრუქციას" უკვალოდ არ ჩაუვლია და შედეგად სრულიად გადაგვარებული, მახინჯი სისტემა მივიღეთ საუნივერსიტეტო მუშაობისა. სავალალო ფაქტია, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ხშირ შემთხვევაში დაკომპლექტებულია კორუმპირებული, დაბალი პროფესიონალიზმის მქონე, არაკვალიფიციური, შემთხვევითი ადამიანებით. დღევანდელ უნივერსიტეტს თითქმის არაფერი აქვს საერთო იმ უნივერსიტეტთან, რომლის ავტონომიისთვის დაუზოგავად იბრძოდა დიდი ივანე ჯავახიშვილი. ვფიქრობთ, რომ მხოლოდ რადიკალური რეფორმა განათლების მთლიან სისტემაში გახდის შესაძლებელს უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიაზე სერიოზულ საუბარს.**

**რედაქტორი მარიკა აბაიშვილი**

**სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, ზურაბ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.**

**რედაქციის მისამართი: თბილისი, ვერას კოხტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 98-81-87.**

**იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № 29**

**ინდექსი 66421**